



საგოლითიკო სამეცნიერო და სალიბერალური ნახაბიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

**შინაარსი:** ბურები.—სსვა-და-სსვა ამბავი.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—ინგლის-ტრანსვალის ომი.—ჟურნალ გაზეთებიდან.—ფიქრები, ლექსი დ. თომაშვილისა.—თფილისის მიდამოებში ნატოსი.—სრულიად რუსეთის ხელოვანთა პირველი კრება.—პროვინციელი კორესპონდენტის მდგომარეობა გ. ტუსკაისი.—წერილები საფრანგეთიდან (დასასრული) ლ. დ—სა.—ბიბლიოგრაფია ი. გ—რისა.—შენიშვნა ზ. არჯევანიძისა და განცხადებები.

ბ უ რ მ ბ ი.

III

მოგორც მეორე წერილიდან დაეინახეთ, დაუძღურებული და დაღარბებული ტრანსვალი 1877 წ. შეუერთდა ინგლისს. ინგლისის მთავრობა პირველ ყოვლისა შეეცადა ამ ქვეყანაში მშვიდობიანობა და წეს-რეჟი დაემყარებია. ამ მიზნით მან გაგზავნა თავისი ჯარები და ტრანსვალის საზღვრებზე დააყენა. შეეკანთანა აჯანყებებს ბოლო მოეღო, სიკუკუნებთა ძალა გატყდა და ასე, ბურებს და მოსაზღვრე თემთა შორის, კეთილი განწყობილება ჩამოვარდა. რაკი ქვეყანა დამშვიდდა, მეურნეობა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა გაძლიერდა და სიმდიდრეც დატრიალდა. ამასთანავე გაიხსნა სკოლები, გაიყვანეს გზები, გააკეთეს ხიდები—ერთი სიტყვით ტრანსვალი მოკლე დროში ევროპიელ ქვეყანას დაემგავსა. ბურები მოღონიერდნენ და ფეხზე დადგნენ. ამიერიდან მათთვის საჭირო აღარ იყო აპეკუნი, გარეშე მშველელი და ბატონი. იმათავითონვე შეე-

ძლოთ თავისთავის პატრონობა და ქვეყნის მართვა-გამგეობაც. ინგლისმა შეასრულა თავისი როლი, ახლა აღარ გვინდა იაო—თქვეს ბურებმა და ის იყო დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებლობის აღსადგენათ. გააკეთეს ვეებერთელა პეტიცია (თხოვნა), რომელსაც ხელს აწერდა 6500 კაცი და ინგლისს გაუგზავნეს, გთხოვთ შეერთება გააუქმოთო. ამავე დროს (1879 წ. ნოემბერში) ოპოზიციის მეთაურმა გლადსტონმა დაიწყო აგიტაცია კონსერვატიულ სამინისტროს და ტრანსვალის შემოერთების წინააღმდეგ. მისი შესანიშნავი სიტყვები, წარმოთქმულნი ბურების სასარგებლოთ, ათი-ათასობით იბეჭდებოდა ტრანსვალიში და ვრცელდებოდა ბურებ შორის. გლადსტონის აგატაციამ ნაყოფი გამოიღო; 1880 წ. სამინისტრომ პარლამენტი დაშალა და ხელ-ახლა არჩევნები დანიშნა. არჩევნებზე გაიმარჯვეს ლიბერალებმა და გლადსტონი შეიქნა პირველი მინისტრი. ახლა კი ყველა ელოდა, მისი პირველი სახელმწიფო სიტყვა—ტრანსვალის დამოუკიდებლობა იქნებოდა, მაგრამ ეს ასე აღარ მოხდა. რვა აპრილს გამოცხადებულ სეფე სიტყვაში ნათქვამია: „არავითარ შემთხვევაში ინგლისის უფროსობა

ტრანსვაალში არ გაუქმდებოა“. ამ გარემოებამ გააცვიფრა ბურები და გადაწყვიტეს ძალა ეხმარათ. პირველ ყოვლისა უარი განაცხადეს სახელმწიფო გადასახადების გადახდაზე. მთავრობა ძალათ უყიდა ქონებას, რამაც გამოიწვია აქა-იქ არეულობა. აჯანყებულებმა ამოირჩიეს სამი პირი, პოლ კრიუგერი, ჟუბერი და პრეტორიუსი თავის წინამძღოლებათ და ტრანსვაალი გამოაცხადეს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ (4 დეკემბერს 1880 წ. ინგლის-ტრანსვაალს შორის ატყდა ომი. 28 იანვარს, 8 თებერვალს და 26 თებერვალს მომხდარ ომებში დამარცხდნენ ინგლისელები. ინგლისის მთავრობამ მაშინ კი დაინახა, რომ ადგილობრივი ჯარები საკმარისი არ იყო თეთრ ხალხთან საბრძოლველათ და 12 ათასი ჯარით ავღანის გმირი დენერალი რობერტსი (ახლანდელი მთავარ-სარდალი) ლონდონიდან ტრანსვაალში გაგზავნა. მაგრამ სანამ რობერტსი თავის ალაგას მოვიდოდა, ინგლისის საზოგადო აზროვნებაში მოხდა ღრმა ცვლილება. ინგლისის ყოველ კუთხეში იმართებოდა მიტინგები. ომის განგრძობის წინააღმდეგ სამინისტროში პეტიცია პეტიციაზე მოდიოდა, შეწყვიტეთ სისხლის ღვრაო. მეორე მხრით, ლიბერალური დეპუტატები გადაუდგენ გლადსტონს და თავის დროშას დააწერეს, ზავი ბურებთანო! ამ გარემოებამ გაპყო თვით სამინისტრო და ზოგი მისი წევრი, როგორც მაგ. ჯონ ბრაიტი, ჟოსეფ ჩემბერლენი (ინგლისის ახლანდელი მინისტრი) და სხ. ომის წინააღმდეგი გახდნენ. ახლა გლადსტონი იძულებული შეიქნა მშვიდობიანობა ჩამოეგდო და სანამ რობერტსი აფრიკას მოადგებოდა კაპის მინისტრს ტელერამით აცნობა, შეაჩერეთ ომი და ბურებს ზავი თხოვეთო. ამნაირათ ინგლისის ხალხმა კიდევ ერთხელ აღამაღლა ხმა ბურების სასარგებლოთ და აიძულა თავისი მთავრობა მათ შერიგებოდა. ეს მეორე მაგალითია ამ საუკუნის ისტორიაში, რომ გაცხარებულ ბრძოლის დროს ბრძოლის ოპოზიცია შემდგარიყოს. პირველი მაგალითი გვიჩვენა გერმანიის მუშათა პარტიამ ფრანგ-გერმანელთა ომის დროს, 1870—71 წ წ ...

ასე თუ ისე, ინგლის-ტრანსვაალის ომი ინგლისელთა მეოხებით დასრულდა 1881 წ. ახალი ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება თითქმის იგივეა, რაც იყო მდინარე სანდიას ხელშეკრულება. აი მისი უმთავრესი მუხლები: თანასწორობა თეთრ კანიანთა, თავისუფლება შავკანიანთა; (უკანასკნელთა ინტერესის დაცვა დაევალა ინგლისის წარმომადგენელს), ტრანსვაალში მცხოვრებ უცხოელს უფლება აქვს შეიძინოს უძრავ-მოდრავი ქონება, აწარმოვოს თავისი საქმეები და სხ. მთავრობას არა

აქვს უფლება მას დაადგას რაიმე განსაკუთრებული გადასახადი, გარდა იმისა, რასაც ინდის ტრანსვაალის მოქალაქე (§ XXVII); ტრანსვაალის საგარეო საქმეები ერთიანათ დამოკიდებულია ინგლისზე. მას შეუძლია რაიმე დამოკიდებულება იქონიოს უცხო სახელმწიფოსთან მხოლოდ ინგლისის წარმომადგენლის საშუალებით (§ XXVI) და სხ.

ამ ხელშეკრულებით არ იყვენ კმაყოფილი ბურები. რესპუბლიკა ვერ გახდა სრულიად დამოუკიდებელი საშინაო საქმეებში, ხოლო რამდენიმეთ დამოუკიდებელი საგარეოში, ამის გამო მთავრობამ მოიწადინა ზოგი მუხლების შეცვლა, რისთვისაც 1883 წ. მან თხოვა ინგლისის მთავრობას, ნება მოგვეცი დეპუტაცია გამოგვზავნოთ ხელ-ახალ მოსალაპარაკებლათო. ინგლისმა ამაზე ნება დართო. დესპანებათ გამოიგზავნა სამი კაცი, თვითონ პრეზიდენტი კრიუგერის მეთაურობით. იმათ მოითხოვეს: თავისუფლათ მოლაპარაკება უცხო სახელმწიფოებთან და თავისუფალი დამოკიდებულება შავკანიანებთან ე. ი. სრული დამოუკიდებლობა საშინაო და საგარეო საქმეებში. არც ერთი ეს არ მიიღო ინგლისმა. მიუხედავათ ამისა, მან მაინც საჭიროთ იცნო ზოგი მუხლი შეეცვალა და რესპუბლიკისთვის მეტი თავისუფლება მიენიჭებია. ეს ცვლილება ეხება საგარეო დამოკიდებულებას და განსაზღვრულია ასე: ტრანსვაალის რესპუბლიკას არა აქვს უფლება რაიმე ხელშეკრულებით საბოლოოვით შეეკრას უცხო სახელმწიფოს, გარდა ორანჟის რესპუბლიკისა, ან ადგილობრივ თემებს ინგლისის დაუთანხმებლათ. ხელშეკრულების პირი ეგზავნება ინგლისის მთავრობას და თუ მან ექვსი თვის განმავლობაში პროტესტი არ განაცხადა, ის ძალაში შედისო. ხოლო დანარჩენი მუხლები ისევ ძველი დატოვეს.

კრიუგერი ამ ცვლილებით დიდათ კმაყოფილი დარჩა და ლონდონის გახეთქებში გამოაქვეყნა მოწოდება ინგლისელთა მიმართ: გადმოსახლდით ტრანსვაალშიო. ასეთივე მოწოდებით მიმართა მან გერმანელთ და პოლანდელთ. მან ყველა ამათ აღუთქვა მფარველობა და ხელის შეწყობა.

ამ გვართ, ტრანსვაალის რესპუბლიკა საბოლოოვით განმტკიცებულ იქმნა. ის ჩაღვა განსაზღვრულ პირობებში და დაეპატრონა თავის თავს.

აქედან იწყება მეოთხე ხანა ბურების ცხოვრებაში.

### სხვა-და-სხვა ამბები

**მ**ფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ თავის უკანასკნელ კრებაზე გუბერნიის მარშლათ აირჩია ეგერმეისტერი თ. დავით მელიქიშვილი.

ახლა და ახლა ნათლათ ირკვევა ის ბოროტ-  
მოქმედება, რომელიც ქუთაისის თავად-აზნაურობის  
დებუტატთა საკრებულოში წარმოებდა. აქ აღგენ-  
დენ ქართველ მეფეთა სიგელებს, რომლითაც ვი-  
თომ ამა თუ იმ მეგრელიის მცხოვრებს კეთილშო-  
ბილებას ანიჭებდა. აღგენდენ ისე ოსტატურათ,  
რომ ვერ არჩევდენ ამ ახალ საბუთს ძველ საბუ-  
თებისაგან. ამას გარდა, აღგენდენ ყალბ წლოვანების  
მოწმობებს. თავად-აზნაურთა გვარტომის წიგნიდან  
ქრიდენ მთელ ფურცლებს და იმათ მაგიერ ახალს  
აკერებდენ და სხ. ასეთი ყალბი საბუთებით გლახებს  
ასობით მიუღიათ აზნაურობა ამ საგანზე ექვსი  
კაცია დატყვევებული.

26 მარტს მოხდა სამეურნეო ბანკის წვევრთა  
წლიური კრება. როგორც ანგარიშიდან ჩანს წარ-  
სულ 1899 წ. ბანკის ოპერაციას ექვს მილიონის-  
თვის გადაუცილებია, ერთი მილიონი და 112 ათასი  
მ. მეტი წინანდელზე. ყოველივე ხარჯის გამოხვლით,  
წმინდა მოგება დარჩენილა 6,741 მ. 80 კ. ასე  
რომ წვევრებს ყოველ ათ თუმანზე 7 მ. 24 კ. ღი-  
ვიდენდი ერგებათ. კამათობის დროს გამოიჩინა,  
რომ ეს სამეურნეო ბანკი ყველაზე ნაკლებს მეურ-  
ნეთათვის იღვწვის, სოფლებზე დალიან ცოტა  
სესხი გაუცია, მისი უმთავრესი სარბიელი ქალაქი  
ყოფილა. სოფლათ მეტი სესხის გაცემის პირობე-  
ბის შემუშავება მიენდო გამგეობას. ბანკის დირექ-  
ტორათ არჩეულ იქმნა ისევ ვ. რ. ყიფიანი. საბ-  
ჭოს წვევრებათ ნ. ხიზანაშვილი და გ. ლასხიშვილი.

ერთი რუსული გაზეთის სიტყვით, კნენა  
მ. ი. ნაკაშიძისა აარსებს ახალ ნავთის მწარმოებელ  
ამხანაგობას, რომელსაც ექნება ძირის თანხათ ნა-  
ხევარ მილიონი მან. ორი ათას აქციებათ დანა-  
წილებული, თითო აქცია 250 მ. ეღირება.

ჩვენ მივიღეთ ზ. ჭიჭინაძის გამოცემული წიგნაკი: „ის-  
ტორია ქართლის სტამბის და წიგნების ბეჭდვისა. 1626—  
1900“ წ. შეიცავს 55 გვერდს და ღირს ერთ აბაზათ.

„კვალის“ კორესპონდენციები

**ქუთაისი.** დედა-მიწის ზურგზე ძნელათ მოიბრუნება  
ისე ბედწავი და დაბრევიებული ქალაქი, როგორც ქუ-  
თაისია. რამდენათაც ბუნებას დაუყვადდოვებია იგი თავის  
გარეგან სიშენიერით, იმდენათ ადამიანის უკუდმართო-  
ბას დაუტრიალებია იგი უკუდმართ ჭახრაკზე. ნუ მოვი-  
ხსენებთ აქ ნურც საშინელ მტვერს, რომელიც სულს

უხუთავს ქუთაისს ქარის დროს, წელიწადში თორმეტი  
თვეს, (აქ ქუჩების მარწყვა მხლდომ ზღაპრათ გაუგო-  
ნათ), ნურც სასმელათ ხმარებულ ტაღახანს წუმბის,  
რომელსაც ხარჯვენ მცხოვრებნი მთელი ქალაქის სიბინ-  
ძურით გაუწმინდურებულ რიბინდს; ნუ ვიტყვით რამეს  
ნურც ფარებზე, რომელიც მხლდომ შინსთვის დგანან;  
ნუ გავისხენებთ ნურც ქალაქის სასიტარულ მდგომარე-  
ობას. ჩვენ გვსურს შეითხვედის გულის ყური  
მივაქციოთ მხლდომ სამ რამეს: ქუჩების სიფა-  
ქიხეს, ჩარჩების თავაზიანობას და ყასბების სულ-  
გრძელობას. დავიწყოთ ზირველიდან: 1, ბევრი რამ სა-  
სწაული ხდება ქუთაისში, ბევრი რამ საიდუმლონი მარ-  
ხია მის გულში, ბევრი რამ სიბინძურა დაჯგოვილი მის  
წიაღთა შინის, ხლდომ მისი ქუჩების ტაღახი აღმასტება  
ყოველივეს. ამ შემთხვევაში ზირველი ალაგი უჭირავს იმ  
ერთ-ერთ შუკას, რომლითაც დენდის, კაზაკოვის და  
ივანოვის ქუჩები უკავშირდებიან ლევაშოვის და ზოლიცის  
ქუჩებს და გადის კათლიკეთა ძველ სსსაფლავს გვერ-  
დით და რომლის სიგრძეა მხლდომ ორმოცი საჯენი!  
ვევლას უშველას რამე, თითქმის ვევლას ჩუქები მინათლენ  
ქუთათურათ, მხლდომ ეს შავდღეზე დაბადებული შუკა  
დარჩენილა უმწვეთ და უპატრონოთ. ამ შუკაზე იძულებ-  
ული არიან იარონ ყოველ დღე 10—15 ათასმა ქუთა-  
თურმა და სოფლელებმა, მარტო ასობით დადიან მისწა-  
ვლე ქალ-ვაჟნი და ნეტა დაცანახვით რა მდგომარეობაშია  
ეს შუკა! აქამდე არსებობდა უშრობი ჭაბობი და მხლდომ  
ნავით შეიძლებადა გასულა, ახლა კი გულკეთილმა მე-  
ზობლებმა დააყარეს აყალა მიწა და დადგეს გორები;  
ეტლით ხომ არც დარსა და არც ავღარში არ შეიძლება  
მასზე სიარული, მაგრამ წვიმაში ვერც ფეხით გაბძინდე-  
ბით. თქვენ უნდა ნახოთ ამ დროს აქ მისიარული  
ხალხი და მეტადრე მისწავლე ბავშები, სპარაღონი რე-  
გორ ნახტომებს და უირამაღას გადადიან! და თუ ერთი  
ჩაიფლას აყალა მიწაში მშვიდობით! კალმს ვინ დაე-  
ძებს! თვით ადამიანსაც ვერ ამოიყვან, გაზითაც რომ  
დააფრინდე! აი ამ გვარი საამური სურათები ხდება ქუთაი-  
სის თითქმის შუაგულ ქალაქში და ვინაა ზატრონი! ქალაქის  
საბჭო? მაგრამ ის კაი ხანია დაურუვდა (ან როდის იყო  
ფხიზელი!) ქალაქის საკეთილო საქმეებზე. არა ერთხელ  
მიმართეს საბჭოს მცხოვრებლებმა და ითხოვეს ამ შუკის  
გაკეთება; არა ერთხელ მიმართა საბჭოს ამავე მიზნით  
თვით ამ სტრუქტურების დამწვერმა, მაგრამ ყოველივე  
ამათ... ასე ადვილათ ვერ აღიძვრის საბჭოს უერთა  
სმენა, ასე ადვილათ ვერ მოღებება მისი გული იმ უბე-  
დურ შუკაზე მისიარული ხალხის და მეტადრე ბავშთა  
წვადების ცქერით და ჩვენი ყოველივე გოდვა-ვედრებანი  
დარჩენ „ხმათ მდადადებელისა უდაბნოს შინა.“ მერე ნე-  
ტა ბევრი მაინც დაჯდებოდეს იმ ერთი ბეწო გზის გა-  
კეთება? 2, თუ ასე შევიწროებული ვართ უგზობობით  
ქუთაისის ზეითა ნაწილი, მთელი ქუთაისი კიდევ უარე-

სათ დაბრუნებულას ჩაჩქებინა. სოფლის კაცს ვინ გააჭაჭანებს ბაზარში ეს ჩაინდობს უხვდებიან სოფელთ დიდ შარა-გზაზე და თუ ნებით თავისაგან დადებულ ფასებთან არ იუიდეს სანთგაგე, მაშინ ძალით და სულ უფასოთ წაართმევენ; სმიწათ ცემა-ტყეობათაც გაისტუმრებენ საბარლო გლეხს, თუ დაბრუნებს. მასჭეთ დიდი ტრეუმით ეს ნანადირევი და საბჭო—წლიდის თვალ წინ ჰეიდას წარმოუქმელ ფასათ; მაგ., ქათმის ფასი აიფანეს მანეთზე და თითო კვერცხი ორ-სამ კაპეიკზე, რაც თავის დღეში არ მომხდარა ქუთაისში! მაგრამ ვინ უგდებს უურს ღვთის ანბარა მიტყეებულ ქუთაისს?!. პ, ჩაჩქების ოინბაზობა ჰქრება ქუთაისის ფასებთან სავირო სავქმეებთან! ათოდ ფასები ძლივს მოიხვევა ქუთაისში და ამ ათოდ კაცმა დაიხურა მთელი ქალაქი. ათმა უიარალომ, უმეცარმა ჩანჩალომ დაატყვევა, წამლავეს და ჰკლავს შიმშილით ორმოცდა-ხუთ ათასს ქუთაისის მცხოვრებს... იქნებ არ გჯერათ მკითხველო! ჩიანკეთ მწვანე ბაზარში, ხედავთ დაკიდებულ მეტათ მჭლე შავ, ჭირიან ხორცს და ზიზღი მოგდისთ; ამობთ გულში: ამას როგორ შეჭამს ადამიანი. მაგრამ შიმშილს თავისი გააჭეს. თქვენც მიუხედავდით საყარბოს და მიაღვიით თითი ერთ ნაჭერს; მოჭერი ორი ოყაო, ეუბნება ფასადს. იგი მივა დინჯათ, შეხედავს იმ ნაჭერს და აზბედ-დაზბედავს; თუ თვალში არ მახუნველ და ის ნაჭერიც რიგისაა შედარებით, გეუბნება ტლანქათ: არაა გასყიდო და გიჭრის რაღაც ლურტეს, იმასაც ორ ოყას ხომ არა, ერთ ოყას მხოლოთ და შესავსებათ აწონის ძვლებს და რაღაც წარმოუქმელ სიმურდეს. თუ განუმიდი კიდეე კარგი, მისი ტევე ხარ და ისიც სულგრძელობით ხმას არ გტეშს. მაგრამ ვაი შენი ბრალი თუ ხმა ამოიდე და ბრტესტი განაცხადე! ლანდვა-გინებას და გამოგდებს დაჯერდი, თუ მეტიც არ გიქნა! იმ ხორცს წაკართმევენ, ეჭვი არაა, და დეტევეებს სრულიად შშიერს. ამისთანა სასურვი მავალითი ერთი კი არა, ათასია... როგორც იყო გობრდა ბეღმა, გადარჩი ჩხუბს და ლანდვა-გინებას, რაც იშვიათია, ხლდა აძლეე ფულს, ხედავ იქვე ნიხრის ფურცელს, კითხულობ: „მოყვანილი საქონლის გირვანქა ხორცი ზირველი ხარისხის—11 კან., მეორე ხარისხის—10 კან., მესამე ხარისხის—7 კან.; ადგილობრივ საქონლის გირვანქა ხორცი ზირველი ხარისხის—8 კ., მეორე ხარისხის—7 კან., მესამე ხარისხის—5 კ.“ კითხულობ ამას, ფიქრბო: ეს ნაყიდი ხორცი უნდა იყოს ადგილობრივ საქონლის და თუ მესამე არა მეორე ხარისხის მაინც. აძლეე 7—8 კ. გირვანქაში, ფასადი გობდერს საშინლათ და მიაქეს უკანვე ხორცი; აძლეე ორ შაურს გირვანქაში, არ გაძლეე ხორცს; რას უზამ! ძხელია შიმშილი და მარხულობა! ეს ძლიერ კარგათ იცის ფასადმა და სწორეთ აქაა მისი ძალა. ახ უნდა მისცე 12 კაპეიკიდან სამ შაურამდე გირვანქაში, ახ მშიერი უნდა დარჩე; მეტი ჯანია არა გაქვს, შენც უნდა გადინადო ის საბრეეო რამდენსაც

დაგადებს ბატონი ფასადი, სხვა გზა არა გაქვს. თუ დაეუბნე მუქრე ბრტეოლოთ, ახ საჩივრით, ის ერთს გულისათ გადინახხარებს და გაგიშვებს კულ ამოძუებულს. ვისთან გინდა იჩივლო! საბჭოში?! მერე რა გამოვა?! არაფერი. თითონ საბჭოს მუთაურნი და ბ.ბ. ხმოსნები მადლარი არიან და რაც კარგი ულუფაა მათია, სხვებს ვინ რას დაგეძებს! თავი ქვას ახალეთ, რაც გინდათ ის ჰქენით და საბჭოს მუედროებას კი ნუ შეარევეთ. მეტი რა ჯანია, უნდა დამუწო ზიჩი—მაგრამ სადამდის?

მიცანი

სოფ. მარტვილი (სენაგის მარა). ს. მარტვილის ერთ ნაწილს, ბოგაშს ეძახიან, რომელიც მდებარეობს მანლბლათ ს. მარტვილისა და დაბა ხოლაღვიისა. მიუხედავთ იმისა, რომ მარტვილში და ხოლაღვიში ცხოვრება დუდს და გადმოდუდს (თუ ეს ითქმის სოფელთ ცხოვრებაზე) ჩვენ ბოგაშში უგზობობის გამო ჯოჯოხეთური ცხოვრება სუფევს. ბოგაშელები ვიქნებით 19 თუ 20 კომლი მცხოვრები. თანამედროვე ცხოვრებამ, თავისი ათასნაირ მოთხოვნილებას—საჭირბეობას აგვიყოლია ჩვენც, მარა ამ უგზობობამ კი შეგვბორკა და მოგვამორა ყოველ სასიკეთო საქმეს. სკოლა უგზობობით სელმოუწვდენელია ჩვენთვის. სკოლის შეკრდებები მეტის-მეტათ გაწვადებული არიან: სკოლაში არ წავიდეს, დედ-მამა არ დაეყენებს შინ, წავიდეს, გზაზე ჯოჯოხეთური ტანჯვა უნდა გაიაროს. რაც შეეხება ექიმის მოწვევას, ამასვე ვურჩევ აქაურებს, რომ ზაფხულამდე გადადონ ავთ-მედიკობა. ნეტავ მაინც, ასე დიდი ძხელი იყოს ამ „ტლანქის“ ამომსება? ზირიქით სულ ადვილია; მხოლოთ შრომა და მონდობება ესაჭიროება. ამ ტლანქის ექნება სიგრძე არა უმეტეს 70 საყენისა. იქავე ახლოს იმდენი ქვა დასილია, რომ ვინმე იყოს შემგონებელი, ორ-სამ დღეში შეიძლება გზის გაკეთება. თუ რამეს გახდება ისეე მდებელი, ბოქაული და მამასხლისი თვარა შენი მტერია, ჩვენ დღე გვაღვია. იმედია ზემოთ ხსენებულნი ზირნი და სხვა მარტვილები ექიმ-მასწავლებლნი, მონდობებენ ამ საქმის გაკეთებას და ხალხს იხსნიან გაჭირებისაგან.

ტ. ბოგაშელი

ს. აცნა (კურა). ამ პატარა სოფელმა, რომელიც შედგება სულ 200 კომლისაგან, ამ უკანასკნელ წლებში რა არ მოიბრუნებდა. აქ აავეს ქვითკირის სახლი ორ კლასიან სასწავლებლის მოსათავსებლათ. მებრამ ამასთან ისიც უნდა დავსძინოთ რომ მასწავლებლები ცოტა არ იყოს გასაურენ ჩიტს მოგვაგონებენ; დღეს ერთი მიდის, ხვალ მეორე, გადანიან სხვა-და-სხვა ადგილებზე. ამას ეს არ მოწონს იმას ის. შენი მტერი, ჩვენ ბავშვებს ამდენ სხვა-და-სხვა მასწავლებლების ცვლაში ისიც დაავიწყლებათ რაც იცოდნენ. რა ჰქნას საწყალობა გლეხ-კაცმა, იმდენათ არ არის სიტყვით და სწავლით დახელოვნებული, რომ ეს აცნობოს ვისიც ჯერ არის.

ეს არის ახლა ჩვენი საჭირო ბოროტო საგანი, ამისთვის, უმორჩილესათ ვთხოვთ ვისიც ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება ამ სკოლის მდგომარეობას. ამასთან ისიც უნდა დავუმატო, რომ ამ სოფელში სამკითხველოა გამართული რამოდენიმე ყმაწვილების თაოსნობით. მკითხველიც ბლომათ ჰყავს მაგრამ წევრებმა გული აიცრუეს, აღარავის არ შემოაქვსთ საწევრო ფული და უამისოთ ხომ არ შეუძლია გაძლოს სამკითხველომ: ჯერ წარმოიდგინეთ, რომ სახლის გაკეთების ფასიც არ გვაქვს გასტუმრებული; სხვა ხარჯები რამდენია მოგეხსენებათ.

ბატონ გამგეს, ა. ჩ—ძეს, უმორჩილესათ ვთხოვთ გაზეთის საშუალებით გვაცნობოს, უწინდელმა გამგემ გადმოსცა სრული ანგარიში თუ არა, წევრებზე რამდენი გადასახადი ითვლება და საზოგადოთ რა მდგომარეობაშია სამკითხველოს ნივთიერი მდგომარეობა.

ი. ქანტურიშვილი

კვირიდან კვირამდე

„საგულაოთ“.—ახირებული სტუმარი.—  
დაბალი ლობე.—Пожалуйте.—ლელო!..  
—პრემია!

ძლივს!.. ძლივს ერთი მეც მეღირსა დღის სინათლე. ეს ორი კვირაა სული შემიწუხდა სწორეთ, სული. თუ „კვირიდან კვირამდე“ ვარ, ყოველ კვირა უნდა „ვიკვირამდე-კვირამდე“-ო მეთქი — ვემუდარებოდ ჩემ უფროსებს, მარა ვინ გაგიგონა, სსუ, კუთხეში მივდევ, შენთვის ახლა ალაგს, რომ არ მოვაცდენ არ იციო — მტუქსავდენ წაღმა-უკუღმა და მეც ძალა უნებურათ დავმუნჯდი. დავმუნჯდი და მერე როგორ? ლამის არის ლაპარაკი სულ მთლიათ ერთიანათ გადამავიწყდეს, ენის მობრუნებასაც ვეღარ ვახერხებ, ღმერთო დაიფარე ჩემი მტერი და ორგული ასეთი მდგომარეობისაგან! არა, ერთი მითხარით, რას მერჩოდენ მე საწყალს, ასე ასაღოღებელი რომ გამხადეს? სახე არ მივარგოდეს, ან ბიჭობაში სხვა მჯობნიდეს, კიდევ ჰო, მარა ყველა ეს, ღმერთმა კაი მოგცეს, კაი მქონდეს. არაო, ადგილი არ არისო! არა, ერთი ჰკითხეთ მაგათ და? ყველა ეს „პრესა“, „გზა-და-გზა“ თუ რაღაცებია ერთათ რომ შეჰკრათ, ჩემი ნეკის ოდენაც არ იქნებიან და ისე კი მედიდურობენ, მეხი კი დავაყარე მაგათ თავს!.. საბედნიეროთ ეს ვაჟბატონები ახლა სადღაც მიმალულან და მეც ჩემი ბარგი-ბარხანით „საგულაოთ“ გამოვდი. არც ისე ძნელი საქმე მაქვს, რომ „გულაობაში“ ვერ გვაკეთო. ბარგს როგორც კი თავს შევუხსნი—მაშინვე მისით ამოცვივა ის რაც ამოსაცვინია და ჩაცვივა რაც ჩასაცვინია. მაშ დავიწყოთ.

\* \* \*  
„ბ. კვირიდან კვირამდე! ერთი რამ მაკვირვებს ძალიან და გთხოვთ მათქმევინოთ. რამ დაამზგავსა ასე სამაგალითოთ ზოგი ჩვენი მწერალი ბერუს და ნინიკას ცოლებს? (ესენი ჩემი მეზობლები გახლავან). მზგავსება სწორეთსაოცარია, საოცარი. არ ვიცი ვინ ვისგან ისწავლა ასეთი დარბაისლოური სიტყვა-პასუხი, მხოლოთ ის კი ვიცი, რომ ორივენი ერთი ენით და ერთი კილოთი დარევიან თავის „მტერთ“ და ლამის ქვეყანა აიკლონ. უპირატესობა, რასაკვირველია, მწერლებს ეკუთვნის, მათი „მეკუთხება“ მთელ ღუნისა ესმის, ხალო იმ ჩემი მეზობლების „გულის ხეთქა“ აცაურაის ღელემდისაც ვერ აღწევს... „ახალმოსულმა“ მაინც ის გვათქმევია, ნეტავი არ მოსულიყავო. თუ მისებური ფელეტონები დავვიშინა, შენი მტერი ის კი მოსულა, მაგრამ ჩვენ კი საღმე უნდა წავიდეთ!..“  
„მოსიკლა“

\* \* \*  
კალთას არავინ არ ჩამოგაგლეჯთ, დარჩითო. „ახალმოსულიც“ ამისთვის მოვიდა, ვინც ჩემი არა ხარ, ჩემი წინააღმდეგი ხარო და მიბრძანდითო, და თუ თქვენ თქვენით წახვალთ ამას რაღა აჯობებს. წასვლას ხარჯი უნდა და თქვენ, როგორც ჩანს, ის გქონებიათ, მარა რა ქნან იმათ, ვისაც აღარც აყენებენ და აღარც წასვლის ხარჯი აქვთ. აი რას გვწერს ერთი იმათგანი:  
„მ. ხ. ნათქვამია, მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. ეს ძალიან კარგი, მაგრამ რა ეშველება იმ მართლის მთქმელს, რომელსაც არც ცხენი ჰყავს, არც უნაგირი და არც ფული „მაშინით“ რომ მოკურცხლოს. აი ასეთ გაქირვებაში ვართ დღეს ჩვენ, ას ერთი თფილისში მცხოვრები ქართველი. ვთქვით ერთხელ სიმართლე და მას მერე საშველი აღარ მოგვცეს, რატომ თქვითო. „ახალმოსულმა“ მაინც ლამის მიწასთან გავასწოროს ამდენი ხალხი. მაინცდამაინც ჩვენ რომ დავვიჯაბნა, ვითომ და რაო, ნახა დაბალი ლობე? მართალია გაზეთებში წერა არ ვიცით, მაგრამ აზრი და მიმართულება ჩვენც მოგვებოვება, მართო ნასწავლებისთვის არ დაულოცნია ის ღმერთს. რადგანაც ასე აგვითვალწუნეს ერთს გთხოვთ: დავვიდექით მოციქულათ „ახალმოსულთან“, მოგვცეს წასვლის ხარჯი და წავალთ, მოვცილდებით თავიდან ან და ჩვენ მივცემთ (თითო შაური რომ მოგვკრიბოთ ეყოფა) და წავიდეს იქ, საიდანაც მოსულა. აი ეს არის ჩემი სათხოვარი“.

ექ. აბაშიძე

\* \* \*  
კაი სათხოვარი ჰქონებიათ, მე ლა ჩემმა ღმერთმა! მარა თქვენ უთუოთ არ იცნობთ „ახალმო-

სულის“ მიერ გამოცემულ „ასიგნაციებს“ და იმიტომ ლაპარაკობთ ასე. ამ ასიგნაციებს ფული კი არ აწერია, არამედ „ეტიკა“. აი ამ „ეტიკას“ არიგებს ის და თუ ამით იოლათ წახვალთ—სასიამოვნოთ დარჩება. აი რა არის ეს „ეტიკა“.

„ბატონო ჩემო! ორშაბათს სამეურნეო ბანკის კრებას დავესწარი, მარა ჩემს დღეში ამ გვარი კრება არ მინახავს, კინაღამ დავიხოცეთ იმდენი ზრდილობით და თავაზიანობით. სულ ბატონოს გვიძახოდნენ. განსაკუთრებით დირექტორის კომპლიმენტებმა თავბრუ დაგვახვია, სწორეთ დავგზნუკა მისმა აღერსმა. აი მაგ. დაიწყო ერთი მართლაც და საყურადღებო სიტყვა ბანკის მოგვების შესახებ: **прибыли банка должны... пожалуйте, князь... ჩაურია შიგ, მოვიხედეთ უკან და დავინახეთ ერთი ახლათ მოსული სტუმარი. თავაზიანმა ორატორმა თავისკენ გადაიყვანა, გვერდში მოისვა და სიტყვაც განაგრძო: **итакъ по уставу не менѣе десяти процентовъ... пожалуйте, Василій Ивановичъ!** ჩაურია კიდევ შიგ და ასე სულ **пожалуйте** და **пожалуйте**.—ერთი მითხარით ეს „пожалуйте“ ბანკის მოგებას ეკუთვნის თუ სხვას რასმეს—შემეკითხა იქ ფეხზე მდგომი ჩოხიანი, რომელსაც ეტყობოდა, რუსული კარგათ არ ესმოდა.—არა, ეს „ეტიკას“ ეკუთვნის, ხოლო მოგების „пожалуйте“ მცრე იქნება,—მიუგე მე და გარეთ გამოვედი“.**

აქაური.

\* \*

ერთი მეტის-მეტი ახირებული „მოგების“ ამბავს ოზურგეთიდან გვწერენ:

„ბ. კვირიდან-კვირამდე! ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გაუწყოთ. მევიგეთ ბატონო, მევიგეთ, ლელო გვეიტანეთ, ვაჭამეთ ქვემოურებს სირცხვილი. ვითომ და სად ჩვენ და სად ისინი, დეიჯინეს, ქალაქის გამგეობის სახლი ამდენი ხანია ზევით არის, ახლა ჩვენი ჯერია, ქვემოთ უნდა წვეილოთო, ე. ი. ქალაქის თავი ქალაქის ქვემოთ უნდა იდგეს და არა ზემოთო! ასე შეაბრუნეს სამართალი. ბიჭო, რას ჩურჩულობთ, თავი თავისკენ უნდა და არა ბოლოსკენ, ვუთხარით ჩვენ, მარა შენც არ მომიკვდე, აგი ჩვენ ვიცითო. თუ იცით და იგია რომ ვერ წვილებთ თქვა და მოგეცათ სიცოცხლე, ჩვენ ზემოურები, დავფაცურდით. აწი რა მარჯვე ბიჭებია ზემოურები! ლომია კაცათ, ლომი, იმათი კიჟინი ცაში ისმოდა, განსაკუთრებით მათი ოც მარტს ნახვა მადლი იყო, ისე „შტრინგათ“ იყვენ ჩარაზმული საარჩევნო ყუთებთან, რომ ყოველი კაცი იტყოდა, აი ამათ დაშვენდება ხმონობა და ღმერთმა შეარგოსო. დაიწყო კენჭების „ჭახა-ჭუხი“, მივა-

ყარეთ და მივაყარეთ ნახშირსავით შავ-შავი ქვემოთ მოურებს, ჩავაშავეთ ერთიანათ და ისე კულამოდებული შინ გოუშვით. გავიმარჯვეთ საშვილი-შვილოთ. მარა ერთი საქმე კი ყოფილა აი კენჭი: „ბახოდობაში“ სეტყვასავით ტყვიას გადაუვლია ჩემ ზურგზე და ყურიც არ გამინძრევია, და აგერ ახლა კენჭებთან ქე წავხდი კაცი, სასიკვდილო ოფლი მასკდებოდა, ვაი თუ წავაგოთ მეთქი, დეილუპოს იქით ამ კენჭის მომგონი“.

ოზურგეთი

ზემოური

\* \*

„კვირიდან კვირამდე“ ზრემია.

ამით ვაცხადებთ, რომ პირველი პრემია მიეჯება იმას, ვინც გამოიჩნობს, რის თქმა სურს ბნ ვ. წ. თავის ორ უკანასკნელ ფელეტონში („ივ.“ № 70—71).

პრემია შეიცავს ბ. ვ. წინანდელ ფელეტონებს, რომელიც „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი 1897 წ. და სათაურს ქვეშ ეწერა: „ვეუძღვნო ჩვენს მარქსისტებს“.



ინგლის-მრანსვალის ომი.

რეზერვ უკანასკნელ ნომერში ვთქვით, ბურები ისევ ყუბერის ტაქტიკას დაადგენ და წვრილ-წვრილი, მოულოდნელი თავს დასხმით ინგლისელებს ძალიან აწუხებენ. რეზერვტის მთავარი ძალა ბლუნფორტენშია ე. ი. მტრის ქვეყანაში. ბურებმა, ჩრდილოეთით გარეკიდებმა, აღმოსავლეთით მოუარეს ბლუმფორტენს და ბაზუტთა ქვეითთ ორანჟეში შემოვიდნენ. მაშასადამე, ინგლისის ჯარებს მტერი არტყია ორი მხრით: ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. განსაკუთრებით მხნეთ მოქმედებენ ეს უკანასკნელნი. 26 მარტის დებუშა იუწყება, რომ კოლესბერგთან ინგლისელთა ჯარს გასს შემოერტყენ ბურები და ორი რეტა (167 ცხენისანი და 414 ქვეითი) ტყვეთ წაიყვანესო. ბურების ტაქტიკას ნათელ ჭეოფს შემდეგი ტელეგრამა: 19 მარტს ბურების სარდალი დევეტი დამით გაემგზავრა მდ. მდღერის მახლობლათ და იქ ნახა ინგლისის ჯარის კატები, რომელთაც მშვიდობიანათ ეძინათ და არც დანაჯები ჭეადათ დაუენებუდი. დევეტმა მაშინვე ზარბაზნები ზოზიციაზე დადგა, ხოლო 1500 ჯარის კაცმა მარჯვე ადგილები დაიჭირეს ინგლისელების გარეშემო, ამათ მოეშველა სხადი რაზმებიც და მდინარის ფონთან დადგენ. რედესაც საკმათ ინათდა, ნაშანი მისცეს და ინგლისელებს ზარბაზნები დაუშინეს. მოხდა საშინელი არეულობა. ინგლისელები წამოცვივდნენ და, ჯერ კიდევ გონს ვერ მოსული, თავის ზარბაზნებს მიცვივდნენ და მადლობისკენ

გააქანეს, აქ კი ბურკები იყვენ ჩამჯდარნი და სხანამ ინგლისელები მთლათ არ მიუახლოვდენ ხმა არ გაიღეს, მაგრამ, რეგორც კი 30 იარღვე მიუახლოვდენ—ბურკებმა ასტეხეს საშინელი სრფლა. ცხენები იქვე ზედი-ზედ მცემოდენ ბურკების ტყვიით განგმირუნნი. ინგლისელები და შვიდი ზარბაზანი ტყვეთ ჩაუყარდათ ბურკებს.—29 მარტის ტელეგრაფმა იუწყება, დეკეტის მეორე დიდ გამარჯვებას, 600 ინგლისელი მოკლული თუ დაჭრილია, ხოლო 900 ტყვეთ წაიყვანეს, მაგრამ ეს ამბავი ოფიციალურათ არ არის ჯერ დამტკიცებული.—ბურკები მწყალობენ არიან ორანჯეს სამხრეთიდანც მოუარონ და ამ რიგათ რებერტის მხედრობას სავი მხრით შემოადგენ. ამავე დროს რებერტსი ბლუმფორტის ამბურებს და მასსადამე მთავარ სამხედრო ბანაკსაც აქ იკეთეს. ბუჯერის ჯარის ერთი ნაწილი ნატალიდან ორანჯეში მიდის რებერტის დასახმარებლათ. ინგლისიდან ჯერ ჯერობით აღარ იგზავნება მეტი ჯარი. რეგორც ჩანს რებერტის მიზანია მთელი თავისი ჯარი ერთ ალაგას შეჭარას და ბურკების ჯარს დიდი ომი გაუმართოს, მარა სწორეთ ამას გაურბიან ბურკები და რებერტსაც გაუჭინდება ამ ზღანის შესრულება.

ქურნალ-გამეტეებიდან

ქურნალ „მოამბის“ მე-II ნომერში მოთავსებულია ბ. ლალის „შინაური მიმოხილვა“, რომლის ბოლოს ავტორი „კვალსაც“ და „კვალის“ მკითხველებსაც გადმოწვდა. ბ. ლალი ჯავრობს ჩვენზე „უმართებულოთ“ მოგვექცითო. (იხ. „კვალი“ № 9). აი ბ-ნი ლალის სიტყვები:

„უბირველესად ყოფლისა „კვალის“ ზუბლიცისტი ცდილობს რაც შეიძლება მეტად დაგვამციროს. ამისთვის ის საუკეთესოდ სოფლის ცილის წამებას (ხაზ გასმული ყველგან ჩვენია). ლაღი „იკურნაში“ კაპიტალისტებს (!) ებრძოდან, „ახალ მიმოხილვაში“ კი კაპიტალისტებს გამოექმაცა! როდის და როგორ გამოექმაცა ლაღი კაპიტალისტებს, ამის დასაბუთებისათვის ზუბლიცისტი თავს არ იწუხებს, წამოროშა და კმაყოფილია“.

გამოდის რომ ჩვენ ტყუილი გვითქვამს, ცილი დაგვიწამებია ბ. ლალისთვის. სამწუხაროა, როცა ავტორს თავისი ნაწერებიც კი ავიწყდება, თვარა სხვისის ხსოვნას ვინა ჩივის. ბ. ლალს დავიწყებია თავის წარსული, გავახსენოთ ჩვენ ის. ის ამბობს კაპიტალისტებს არ გამოვსარჩლებივარო. მართალია ეს? გადავშალოთ 1898 წლის „ახალი მიმოხილვის“, 17 დეკემბრის ნომერი. აქ მოთავსებულია ბ. ივანოვიჩის ფელეტონი და ბ. ლალის ამ ფელე-

ტონის წინააღმდეგი მეთაური წერილი. ივანოვიჩი წერს: ამას წინეთ შემხვდა ბაქოს ნავთის მწარმოებელი და შემომჩივლა, დიდი ტარიფი დაგვადევს და თუ თქვენ პროგრესული მწერალი ხართ, ტარიფის დაწვეას უნდა ცდილობდეთ, რომ მით უცხოეთში ბევრი ნავთი გავიტანოთ და უცხოელ კაპიტალისტებს კონკურენცია გავუწიოთო. ამაზე ივანოვიჩი უღებს:

„თქვენ გამოდისნათ ნავთის მწარმოებელ კაპიტალისტების ინტერესებისაგან და ამტკიცებთ იმათ თანხმობას სავაჭრო ვაჭრობის ინტერესებთან. მაგრამ პროგრესიულ მწერადს საქმე არ აქვს ნავთის მწარმოებელთა ჯიბის გასქელებასთან“. და ქვევით: „ნავთის მწარმოებლები, როგორც კაპიტალისტები, დაუხმარებლათ იმარჯვებენ და დამოუკიდებელი მწერლის ალაღი არ არის ასეთ გამარჯვებულთა ბანაკში... მწინავე მწერადი ნავთის საქმეში იქნება მხედოდ ისეთი ზომების მსურველი, რომელიც გააუქმებებს ამ წარმოების მუშების მდგომარეობას და გააუკეთესებს და გააათებს ნავთს თვით ჩვენი ხალხისათვის“. ერთი სიტყვით, ივანოვიჩი გამოვიდა ხალხის და მისი ინტერესებისაგან და ეს დაუპირდაპირა კაპიტალისტების ინტერესებს. და აი ამის წინააღმდეგ ამხედრდა ბ. ლალი იმავე ნომერში. აი რას ამბობს ის: „*Намъ кажется, что съ положеніемъ высказываемымъ г. Ивановичемъ въ этой статьѣ совершенно нельзя согласиться*“ და მერე ამტკიცებს ტარიფის შემცირების სარგებლობას ე. ი. გამოდის კაპიტალისტთა და ისიც ბაქოს მილიონერთა, ინტერესებისაგან. ის პირდაპირ ემხრობა ივანოვიჩის მოწინააღმდეგე ბაქოს კაპიტალისტს და იმეორებს მის სიტყვებს, ხოლო მუშებზე და მათ ინტერესებზე, რაზედაც ივანოვიჩი ლაპარაკობდა, ერთი სიტყვაც არ აქვს.

ახლა ერთი მითხარით, რას ნიშნავს ეს, თუ არა კაპიტალისტების გამოქომაგებას? რაც დაწერილა კალმითა,—იმას ვერ ამოაგდებ ცულითაო—ამბობენ რუსები და კარგი იქნება ბ. ლალიც ხშირათ გაიხსენებდეს ამას.

მაგრამ ბ. ლალი არც ამით დაკმაყოფილდა. ის წერს:

„წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ზოგიერთი ვაჭობატონის უსაქიელობა. „კვალის“ ზუბლიცისტმა ეს „ზოგიერთი“ ერთის განსაცვიფრებელის თვალთმაქცობით „ხალხად“ შესცვალა და ამანართ შექმნა ის, რასაც რუსები „наглая передержка“-ს უწოდებენ“-ო.

გამოდის, რომ ჩვენ ტყუილი გვითქვამს. ის „ზოგიერთები“ რომ მართლა ხალხის გამოგზავნილი და მისი გულის პასუხის მთქმელი იყვენ—ეს ნათლათ ჩანს „კვალის“ მე-№ 12 მოთავსებულ სა-



ბუთის ქალაქიდან, რომელსაც ხელს აწერს ას ერთი კაცი და რომელთაც დაავალეს ვ. კირვალიძეს და ექ. აბაშიძეს ეთქვათ ის, რაც ასე აცხარებს ბ. ლალს. მაშასადამე, ჩვენ არაფერი არ მოგვიგონებია და არც რაიმე „наглая передержка“ მოგვიქმედებია. ან შეიძლება ას ერთ თფილისის ქართველ მოსამსახურეს ხალხი არ ერქვა?? 1). იმედია ამის პასუხს მოგვცემს ბ. ლალი.

\* \*

„მომბის“ იმავე ნომერში მოთავსებულია ერთი მეტათ კურიოზული წერილი ამ სათაურით: „1899 წლის ქართული სიტყვა კაზმული მწერლობა“ კიტა აბაშიძისა. კურიოზულია იმიტომ, რომ ავტორს ერთი ისეთი ქართველი „ბელეტრისტი“ გამოუგონია, რომელიც ღღემდის არავის არ გაუგონია, არ უნახავს და რომელსაც თურმე აქვს „გრძნობიერი და ნაზი ბუნება, რომელიც მოვლენაში ისეთს ელემენტებს ხედავს, რაიცა არა ყველას აქვს მინიჭებული და ფილოსოფიური განწყობილება, რომელიც ნებას აძლევს ღრმა და მწვავე საგნის არსებით მხარეს შეეხოს“. აი ასეთ კრიტიკოსზე ითქმის, როცა ქება გაიაფდეს არა ღირდეს არცა ჩირათო...



შ ი მ რ მ ბ ი

მიუვანს ფიქრები, გრძნობით სავსენი, სიზმარ-ტყუარების დასამსგავსენი!—

რას მარტო ვზივარ ცბლათ, ეული, კაცთ სამუფთოვან კამოქტეული და ფიქრთა გრფა შეკლერსება, მაშინ ფიალაც გრძნობით შეესება!... და როცა ცისკენ გავინავარდებ, ნახს ვაზამბახებ, ასკილს ვავარდებ, რასაც ვგრძნობ, ვფიქრობ, მას ვანამდვილებ, ცხად-ვუფო. სიტყვებს გავაადგილებ, კაცთ ხრიალ-გრიალს რომ მივატოვებ და მით ვიწრო გვას გავიფართოვებ, — მაშინ უფს მიგდებს თვითონ ბუნება და ეს ხომ ჩემს წყლულს ესაღბუნება.

1) ამიერიდან სახელოვანმა „ახალ მოსულმა“ თავისი ერთი ყუშბარა ამ ას-ერთ კაცსაც ვაროლა (ივ, 65) და თან გამოუტყბადა: თქვენ ვინა ყრბართ, თქვენ „ნულები“, (ე. ი. „არაფერები“) ხართო! მარა რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან“ შედგება, მაშ ყველა ეს წყალ-წასადები ყოფილა. საქართველოს „ჩიორა“ და „ახალი მოსული“ შეადგენს თურმე და ნამდვილი „ხალხიც“ ისინია! აი სადამდის მივიდა „ივერია“! იმედია ამას არ დავიწყებთ ასე ყბათ აღებული ქართველი ხალხი...

მიუვანს ფიქრები შხამით სავსენი, ნაღვლის, ძირ-მწარის დასამსგავსენი! რას ფიქრთა გრფა გულზე მეხვევა, ღვთის რისხვით მიჩანს თვითონ კურთხევა, სეგდა ტიალი შუბლს დამიდარავს, ბურუსით მოცულს დამადგავს კარავს; როცა კაცთ ტომი არ დამენახვის, თვით გაზაფხულიც ზამთრათ მესახვის; თვითონ შახათიც ძირ-მწარეთ მესმის, — და საზარელი გლფვის ხმა მესმის, გთხრავთ მანატრფოთ ეს სითავხედე, — ესეც კი მიუვანს ასე დახედე! — რასაც ჩვევია გული-გონება, მთელი არსებაც მას ემონება!.. მიუვანს ფიქრები მწარე და ტკბილიც, იმითი ზარი და მოძახილიც, თუმც მათი გრფა ხან მკლავს, ხან მარჩენს, ხან კვდრათ, ხან ცოცხლათ ამ ქვეყნათ მარჩენს, მანა მათ მარჩენ ვერ მივუტოვებ, რადგან ჭირს და ღზინს ორთავ იქ ვბოვებ!..

დ. თომაშვილი

თფილისის მიდამოებში.

მიუვანს, ჩავიგდებ თუ არა ხელთ თავისუფალ დროს, მივიარ-მივიარო თფილისის მივარდნილ-მიერუებულ მიდამოებში; თვალნი გადავავლო იქაურ ცნოვრებს, ჩავაკვირდე შკვიდრთა სულის კვეთებას. ჩემი ასეთი საქციელი — „უკავალროთ“ მივარდნილ ორდობებში სიარული, ძლიერ არ მოწონს დიდ-დედას: — „აი მოგიკვდეს დიდი-დედა რომ შენი ასეთი უცნაური საქციელით სხელს იტყვ, — ხშირათ გულ-დაწვევით შემინშხავს ხდლმე ის, — „სიარული გინდა, შეილფ?“ აი „ბულვარი“, მუშტაიდი, გადავანის ზრახსხეკტია თუ რაღაც ჭანახა, თორემ რომელი კეთილ-შობილი ქალი დატანტალებს შენსავით საღდაც ნაძლადევის თუ დიდუბის ამურალებულ ორდობებში?!“ დიდება ჩემი ძველი ქალია, მაგრამ მარტო 80 წლის დიდი-დედას ამ აზრის? რამდენ „ხალხის მოკეთება“ წარმოდგენასიაც თფილისი ორიოდე არისტოკრატ-ბურჟუაზიულ უბანშია განხორციელებული! ამას კარეთ მათ არავის დახახვა არ უნდათ; აქ ხედვენ მხოლოთ თფილისის სიძლიერეს თუ უძლურებს, მის სიავ-კარგეს. დახარჩენი ნაწილი ამ ქალაქისა მათთვის არ არსებობს, უჩინარია. რამდენი დიდებული გვამია, რომ იმ ორიოდე — საუკეთესო ქუჩის გარდა, სცა თფილისი ასე მიმზიდველია, სცა მთელ მის სიძლიერეს თავი მოუყრია, სხვა თვალი-

საქართველო  
საქართველო



თანამედროვე ამიანობის სურათები.

- 1) ბურგების ატლერია, 2) სამხედრო მატარებელი, 3) ქალ. ლედისმიტი, 4) დენერალი სიმონსი, 5) დენერალი უაიტი,
- 6) მაიორი ალბრეხტი, ორანჟეს რესპუბლიკის არტილერიის სარდალი, 7) ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტი შკაინი.

სტორიული

თაც არ უნახავს, შეიძლება მისი არსებობაც არ იცოდეს, და თუ იცის, გულმოდგინეთ გვერდს უხვევს. რაღა გვეთქმის იმ ურიცხვ „უმანკო“ ქალთა და ვაჟთა შესახებ, რომელთა წარმადგენით მთელი სამყარო და მასთან თფილისიც ერთ თვალ-გაღუწვადენელ საქმიანობადას წარმადგენს, სადაც მუდამ დაუსრულებელი „მრავალ-ჟამიერ“ გაისმის. და ან რა არის ნეტა ამ მიერუებულ ორდობეში სასიამოვნო?! სასიამოვნო?! ანაფერი, ჩემო მკითხველო. ზირიქით აქ ყოველ ნაბიჯზე უსიამოვნობა, ყოველ ქმნში შემადრწუნებელი სურათია. აქ მშრომელი ხალხი ცხოვრობს, მუშის თავ-შესაფარია; აქ ირგვლივ ხელმძღვანელობს სუფევს, სიღარიბეა გამოეუბელი. და კიდევ ამიტომ არავინ იცნობს მას და თუ ვინმე იცნობს შეშინებული შორს გაუბნის, თითქო საშინელი სენით იფარს ამ გვარი უბანი შეზერობილი. დიანს! აქ გასართობი არა არის-რა! სახარხარ-სასაციდოს აქ ადგილი არა აქვს, მაგრამ ცხოვრების საშინელი სინამდვილის სურათს კი ბევრს ნახავთ. აი შეუხვებით ამ ვაწრო ქუჩაში, შევადგით ზირველი ქმნის კარები; ხუ წუხართ აქ „დაკლადი“ საჭირო არ არის. თუმცა შევნიერი მზიანი დღეა, მაგრამ ოთახში თითქმის ბნელა და შემზარავი შიშის სული დგას. კედლები, ჭერი და იატაკი ძალზე სველია, თითქო ამ უბედურ ოჯახის ცრემლებით არის მოწვეული. აქეთ კუთხეში 5—6 წლის ფეხშიშველა, დაგლეჯილი ტანისამოსით გოგო ზის და აკვანს არწვეს. ეს გოგო მთელი უბნის საყვარელი თინას! ეს ზატარა მისი ავთამოფთა და არის; ორა დღეა თითქმის არაფერი უჭამია—დედას ძუძუ სულ ერთიანთ გაუშრას; ან კი რა შეაჩენდა რძეს, რცა ნახევარზე მშვირია. დღეს თინამ ია დაჭკრიფა—უნდათ იის ფაფა მოუხარშონ რძის მაგივრათ ზატარას, რომ შიშით არ მოუკვდეთ. კიდევ კარგი ია მანც საუიდელი არ არის, მაგრამ რითი მოხარშონ, რომ ცრცხლის დასანთები შეშა არა აქვთ. ოჯახის თავი მეტი შრომისაგან დასსეულებული ერთი წელიწადია, რაც შავ-ბნელ წუთი სოფელს გამოქსადმა. აკერ ბავშვმა აკნიდან მისუსტებული სმით ამოიკანავდა; თინამ მოუჩქარა რწვეას და თან ისე დინივრათ, რომ ხან ერთ ცერზე შეაყენებდა აკვანს და ხან მეორეზე, ადბათ ცდილობდა ბავშვს თავ-ბრუ დასსმოდა, დარეტიანებულიყო და დედის დაბრუნებამდე გაჩუშებულიყო. დედა კი დაბლა, ხე-ტყის ქარხნისაკენ ჩავიდა—იქნება ნაფოტები მოვაკრფო იის მოსახარშავათო. აი შევიდა კიდევ საბრალდო დედა ქარხნის ეზოში და დაუწყო ნახევრათ დამზად ნაფოტებს კრეფა. ერთ წუთს აავსო დაგლეჯილი ტომარა, მარდათ მოიგდო ზურგზე და სახლისკენ გასწია, მაგრამ ამ დროს საიდანღაც „სტორიო“ გაჩნდა, „სტორიო“, რომელსაც ქარხნის ზატარანმა დაქირავებისათანავე უთხრა: დღეიდან ცქერათ და სმენათ უნდა გადაიქცე, რომ მტკერიც კი არავის გაჭკვეს აქედანო. და აი მტკერი კი არა ვიდაც დედაკაცს ტომრით მთელი სიმღირღრე მიაქვს. დედამ ინსტინქტიურათ იგრძნო მთა-

ხლოვებული უბედურება და ფეხს გაუჩქარა. „სტორიო“ მონძულით უკან დაეკენა, მალე დაეწია, ტომარას წვდა და გაბრაზებული თავისკენ ეწევა, დედა თავისკენ იწევს. შეიქნა ჩუმი, საშინელი ბრძოლა. ერთს ადგილის და მეორეს შეიღის დაკარგვის შიში ამოძრავებს. გაკაჟდა, გოგოლიათდა დედა-კაცი, მაგრამ მამა-კაცის ძალამ მაინც თავისი ჭქნა: „სტორიო“ ბრძოლისაგან დასუსტებულ დედაკაცს ხელიდან ტომარა გამოსტაცა და ქურდისა და უსირცხვილოს ძახილით ამოდენა ნაფოტები თავზე გადააყარა.

დამარცხებულმა დედამ თავლებზე ხელები მიიფარა და მწარე ქვითინი ამოუშვა. ამ დროს ზატარა ავთამოფთსაც გაეღვიძა აკვანში და კვლავ სუსტათ კნავილი დაიწყო; თინამაც თავისი ცრემლები შეუერთა ზატარა დის ცრემლებს, ტირის დედა, ტირიან მისი ზატარა ბაღღებიც.


ნატო.

### სრულიად რუსეთის ხელოსანთა ბირველი კრება

(მოკლე ანგარიში)

პეტერბურღში 14 მარტიდან მოკიდებული რამდენიმე კრება მოხდა „სრულიად რუსეთის ხელოსანთა“. კრებას 1,353 წევრი დაესწრო. ბირველ საზოგადო კრებაზედვე კითხვა იყო დაყენებული კრედიტის შესახებ. თუმცა კრედიტის საჭიროება ყველასთვის ცხადი იყო, მაგრამ თითოეული ორატორთაგანი სულ სხვადა-სხვა საშუალებაზე უთითებდა იმას განსახორციელებლათ: ერთს სახელმწიფო ბანკით უნდოდა ესარგებლა, მეორეს აზრით სასურველია დაარსდეს სრულიად რუსეთის ცენტრალური საკრედიტო დაწესებულება ხელოსანთათვის და სხვ. ასე რომ კრება ვერაფერ დასკვნამდე ვერ მივიდა და იძულებულ იყო მიენდო ამ კითხვის გამორკვევა კომისიისთვის, რომელიც, კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დაარსების შესახებ, შემდგომ დასკვნამდე მივიდა: სასურველია გავრცელდეს ხელოსანთა შორის არსებული კანონმდებლობა ამ გვარ ამხანაგობათა ორგანიზაციის და მათი ნორმალური წესდების შესახებო.

16 მარტის კრებაზე არ იქნა შეწყნარებული კომისიის ზოგიერთ წევრთა სურვილი იმის შესახებ, რომ ხელოსანს უფლება მიენიჭოს განუსაზღვრელათ ამრავლოს მუშათა რიცხვი თვის სახელოსნოში და იმავე დროს სახელოსნო ექვემდებარებოდეს ხელოსანთა სამმართველოს და არა საფუფრიკო ინსპექციასო. არ იქნა აგრეთვე შეწყნარებული ზოგიერთთა თხოვნა მაზრის ხელოსანთა ქა-



ლაქის სამმართველოზე მიწერის შესახებ. — ისინი ჩვენ მეტოქეობას გვიწვევენ, — ამბობდნენ ქალაქის ხელოსნები — და იმავე დროს შესაფერ გადასახადებისაგან კი თავისუფალნი არიან.

17 მარტის კრებამ გადაწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე რათა ხელოსანთა უსტაბაშმა (ремесленный голова), როგორც წარმომადგენელმა ხელოსანთა წოდებისამ, მონაწილეობა მიიღოს ქალაქის საბჭოს სხდომებში და ჰქონდეს სათათბირო (совѣщательный) ხმის უფლება. ამავე კომისიამ დაადგინა რომ საჭიროა დიდ ქალაქებში გაიმართოს სახელოსნო მუზეუმები, რომლებიც, სხვათა შორის, აცნობდეს ხელოსანს ახლათ შემოდებულ შრომის იარაღებს; საჭიროა აგრეთვე, რომ ქალაქები და საზოგადო დაწესებულებები დახმარებას უჩვენდნენ იმ ხელოსანთ, რომლებიც საზღვარ გარეთ მიდიან სპეციალურ სწავლის მისაღებათ და სხვა...

ცხარე კამათი გამოიწვია კითხვამ, სახელოსნოს შეგირდების სწავლის შესახებ. ერთი ორატორთაგანი იმ აზრისა იყო, რომ სახელოსნოს პატრონთ დაევალოთ, გარდა კვირა დღეებისა, შეგირდები გაათავისუფლონ სკოლაში სასიარულოთ კვირაში სამჯერ მაინც, და საზოგადოთ ისე მოეწყოს მუშაობა, რომ შეგირდებს რჩებოდეთ დრო სწავლისა და დასვენებისათვის. ამის წინააღმდეგ ილაპარაკა ერთმა ხელოსანთაგანმა ბ. ნაზაროვმა, რომელიც აფრთხილებდა ხელოსანთ, არ გაგვიტაცოს ინტელიგენტთა პრეტყელ და ლამაზ სიტყვებმა, და იმ გვარათ არაფერი დავადგინოთ, რაც ჩვენ ინტერესებს ავნებსო. და ბოლოს სექციამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: 1) სახელოსნოში სამუშაოთ აყვანილმა შეგირდმა უთუოთ უნდა გაიაროს პირველ დაწყებითი სკოლა; 2) საჭიროა დამატებითი განათლება სახელოსნო შეგირდებისა; 3) სავალდებულოა კვირა-უქმე დღეს შეგირდების სკოლაში გაგზავნა; 4) სწავლა სადამოიბოთ და არა — უქმე დღეობით სასურველია, მხოლოთ არა სავალდებულო, იმათი ორგანიზაცია ადგილობრივ პირობებზე იქნება დამოკიდებული. შემდეგ კომისიის კრებაზე აღიძრა კითხვა, პეტერბურღში არსებულ ორ ხელოსანთა სამმართველოს (რუსებისა და უცხოელების) შეერთების შესახებ. უკანასკნელ სამმართველოს წარმომადგენელნი ცხარეთ იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას. — ყველა ის რისთვისაც იღწვის დღევანდელი კრება: სახელოსნო კასები, სპეციალური სასწავლებელი და სხვა, — თქვა ერთმა ორატორმა, — უკვე დიდი ხანია მოპოვებული გვაქვს. ჯერ გავვითანასწორდნენ რუსეთის ხელოსნები

და მხოლოთ მაშინ შეგვეძლება მათთან შეერთებოლა. პასუხათ ბ-ნმა ზაგრებინმა თქვა, რომ უცხოეთის სამმართველოს არსებობა პეტერბურღში ანახრონიზმს წარმოადგენს და არა სასურველ მოვლენასო. კამათი ძალიან გამწვავდა. ხმის უმეტესობით უცხოეთის სახელოსნოს სამმართველოს დამოუკიდებელი არსებობა მოსპობილ იქმნა. 20 მარტს მოხდა უკანასკნელი საზოგადო კრება. ცხარე კამათი გამოიწვია კომისიის წინადადება, ათი საათის სამუშაო დღის შემოდების შესახებ. უმრავლესობა დიდ წინააღმდეგობას აცხადებდა, რადგან სამუშაო დღის შემოკლებასთან ერთათ ისინი იძულებული იქნებიან შეამოკლონ წარმოებაც. თუმცა რამდენიმე პირი ცდილობს დაარწმუნოს მოწინააღმდეგენი, რომ სამუშაო დღის შემცირებით სრულებითაც არ შემცირდება ნაწარმოებთა რაოდენობა, მაგრამ ამაოთ. ხელოსნები დაჟინებით თხოულობდნენ 11 1/2 საათ. სამუშაო დღეს. ამ საერთო გატაცებაში გაისმის მხოლოთ ერთი მოპირდაპირე ხმა ხელოსან ობერტ მოკიჩისა: — „ჩვენ მოწვეულნი ვართ, — თქვა მან, — არა მარტო საკუთარი ინტერესების დასაცველოთ, არამედ იმათისაც, ვინც ჩვენ ხელ-ქვევით არიან; საქმით კი გამოდის, რომ ჩვენ მარტო ჩვენ ჯიბებზე ვფიქრობთ და მით ცხადათ ვარღვევთ სინდისსა და მოვალეობას“. დიდ კამათს შემდეგ მიღებულ იქნა 11 1/2 საათ. სამუშაო დღე. კრება დაუსრულებელი ტამის ცემით მიეგება ამ დადგენილებას და კიდევაც დაიხურა.

პროვინციული კორრესპონდენტის მდგომარეობა.

დრა მგონია, რომ ისეთ შევიწროებულ და უსაშუალო მდგომარეობაში იყოს ვინმე „საზოგადო მეტავალეუკეთაგანი“ როგორც კარესხონდენტები არიან. თუ რომელსამე დროიქე, მკლავაქე, სრიაქე, მისე მწერაღთა და ძმათა მისთა მჭამელებს შეეხე, მათი თავ-აშეებული ცნობრება საზოგადოებს ამნე, მაშინ უნდა აიბარგო დედამიწის ზურგიდან, თუ არ გინდა მტკიითხონ შენ გვერდებს; და თუ ბოროტ მჭამელებს თვალს აუხვეუ-აარდებ, სადაც საჭიროთ დაინახე იქ შენ სუსტს, მხოლოთ მართაღს ხმას არ ამოადებ, მაშინ-კი შეგძლია იბოგინო ამ ცოდვილ დედამიწაზე, მარა სინიდი-სი და ზნეობა (თუ რომ შეგჩხენია) მუდამ შებდალული გექნება ადამიანურ მოვალეობის წახსე. თუ რამდენი გამხდარა მსხვერპლი ბეჭვდითი სიმათღის გამოთქმისათვის, ამის გათვალისწინება შიშს წაგვიფუნს, თორემ ფაქტი ათასია. ახლა მხოლოდ სიხსში მომხდარ ინციდენტს მივხედოთ, სადაც სიმათღე სხსნობელას გაქცევია, და

ქვემოთაა

გაბრაზებული სიმატლე სოხის „კრეს“ შიდი დღით ციხეში დაწყვედევს კარდა, სხვა რამესაც უქადის.

კასული წლის „კვალის“ კორესპონდენტი სოხიდან იუწყებოდა, რა ურცხვით ეფლეთდენ „ჩან-ბაცტე-ბი“, საზოგადოებას, აფთიაქის მდაზიის უქონლობის გამო. კორესპონდენტი საშუალებას ხედავდა აფთიაქის მდაზიის გახსნაში, თუ-კი უკანასკნელი ამხანაგური წესით იქნებოდა. ამ კეთილ საქმეს ეველა ჟურნალ გაზეთობა თანაგრძნობით გამოეხმურა და წარმატება უსურვავ; ბევრს ქება-დიდებაც შესახეს. ეველა ამავეს შემდეგ დატრიალდენ სოხელები: შეადგინეს ხელათ წესდება, გამართეს ხელის მწეკა (უფულოთ, რასაკვირველია), მოძებნეს სახლი აფთიაქის მდაზიისათვის, გამგე, ხაზინადარი, საქმის მწარმოებელი, კრედიტი და სხვა. იმ ცოტა ხანში ამ „უსაქმურთა-საქმიანობა“ იმედს მოგვრიდა კაცს. აფთიაქის მდაზიის გამგეთ ბ. ბესარიონ ხოშტარია იქმნა არჩეული, ხაზინადრათ და საქმის მწარმოებლათ ა. გვათუა, ამხანაგობას ჰყავდა 46 წვერი, ამათში ზოგი 100 მანეთზე იყო ხელ მწეკრილი (მაგ. გამგე ხოშტარია), ზოგი 50—50 მანეთზე, უმეტესობა-კი 5—15 მანეთზე. 1 მარამობისთვის საწევრო იფული მოაკროვეს 540 მ. 1 კ., საქმის წარმოება-ც იმ დღიდანვე დაიწყეს; მას შემდეგ ძირითად თანხას (540 მ. 01 კ.) არ მომატებია; მიზეზათ უნდა ჩათვალდეს ზოგიერთი ვაჟბატონების შედიდურება: „როგორ თუ ჩემთან, იგიც, ვისაც მე ვარჩენ, ამხანაგობის წევრათ არაან?“ გაიძახოდენ ხშირათ. აქ გულისხმობდენ ალბათ ზღასტურეკის მცხოვრებლებს, რომლებმაც წევრათ ჩაწერის მერვე დღესვე მოურბენეს თავ-თავისი ხვედრი იფული—140 მ. ერთი ვაჟბატონი ცრული სიზმრის გამო დაეთხოვა ამხანაგობის წევრობას, რომელსაც 50 მ. ჰქონდა ხელი მწეკრილი. საქმის გამგე ბ. ხოშტარიასაც არ შემოუტანია თავისი დანაზირები 100 მ. და არც გაუკეთებია რამე, კარდა უსაფუძვლო მითქმა-მოთქმისა. დარჩა საქმეზე მარტო ა. გვათუა, მარა ცალიერი მდაზიით დარჩენა რის მარტისი იყო. ერთხელ კიდევ სცადა გვათუამ ბედი და ერთი ნაცნობის შემწეობით გაიხსნა კრედიტი ვარშავის ქიმიურ ლაბორატორიაში=125 მ., აგრეთვე გამოიწეკა НАЛОЖ. ПЛАТЕЖОМЪ სხვა-და-სხვა ფორმებიდან საქონელი, ცოტ-ცოტა ბეც გაუგზავნა, საქონელი მიიღეს კიდევ სოხის სააკტიტოში. მარა უფულოთ აბავინ რას მისცემდა, და იფულზე-კი ბ. გამგე სრულეობით თავს არ იტკებდა. მოთხოვნილება საქონლისა დღითი დღე მატულობდა, ხოლო დამამაფოფილებელი წყარო არსად იყო. აგრეთვე საქონლის ხატრანები იფულს თხოვლდენ და არც სააკტიტოს გამგე იყო გაუჩნებული საქონლის გამოუწეკრობის გამო. ბ. გამგე-კი სახვადიოთ სდებდა საქმეს. ამნაირათ საქმეზე გულ-გატეხილმა გვათუამ გაზეთ „ცნობის-ფურცელში“ კორესპონდენცია გაგზავნა; ის სოხელ გავლენიან ზირებს ესაუვედურებოდა უკუ-

ლობისთვის ამ სიმშატურ საქმეში, ეს კორესპონდენცია შეიქნა მიზეზი წარმოების სრულიად შეწყვეტისა. გამგემ, შეურაცხყოფილმა სიმატლის გამოქვეყნებით (უხვეულობის გამო ალბათ) არა თუ ხელი შეუწეო საქმეს, არამედ შეგარდა მდაზიაში („ცნობის-ფურცლის“ №-რიც ხელში ეჭირა მგონი) სტაცა ხელი კორესპონდენტ-ხაზინადარ-მწარმოებელ გვათუას და გამოაგლო კარეთ, უშვერი სიტყვები აღარ აკმარა და ხელიც მიაყოლა ზედ. ასე დასრულდა უთა-მეთაურის გამო სოხაში აფთიაქის მდაზიის წარმოება. ამას შემდეგ გვათუამ ანგარიშის გასწორება თხოვა ბ. ხოშტარიას კრედიტორებთან, რაზედაც სასტიკი უარი მიიღო. დარჩა კრედიტორებთან მხმასურეთ უგრძელ-უგაზეიკო გვათუა. თხოვნით რომ ვერაფერი გააწეო, მამრიგებელ მოსამართლესთან უხივლა სისხლის სამართლის წესით 1) ხელით შეურაცხყოფა, 2) კრედიტორებთან ანგარიშის გასწორება, 3) სიტყვიერი შეურაცხყოფა და 4) თავისი ჯამაგირი (რომ საქმეს წარმოება გაგრძელებულიყო მოსაკების მესამედი იყო გვათუასი.) ზირველი საქმე გაიჩნა 24 იანვარს 1900 წ. № 598, მიუხედავთ მოწმების მიხვევ-მოხვევისა სიმატლეში თავისი გაიტანა და ბ. ხოშტარია დამნაშავეთ იტნეს, რაზედაც მიუსაჯეს შიდი დღე ციხეში ჯდომა; (შხლოთ იმ შედავთით, რომ რადგან ხოშტარიას აზნურათ აქვს თავი მოხსენებული და სოხაში მოხრდილი ციხე არაა, კუტუსკაში-კი არ ეკადრება, შეუძლია ნოფორისიისკის ციხეში მოხსნადოს სასჯელი, რასაკვირველია მამრიგებელ მოსამართლის ნება-რთვით) ხოშტარიას საქმე უმაღლეს ინსტანციაში გადააქვს, მერვე საქმე კრედიტორებთან ანგარიშის გასწორება გაიჩნა 23 თებერვალს 1900 წ. ამაზე შემდეგ.

გ. ტუსკია

### წერილები საფრანგეთიდან

დღევანდელი პარტიები და მიმდინარე პოლიტიკა.

IV\*)

მილერანის სამინისტროში შესვლა იყო სრულიად მოულოდნელი და ამასთანავე, არა ჩვეულებრივი და უმიგალითო თანამედროვე ისტორიაში, თუ არ მივიღებთ სახეში 1848 წელს, როცა მთავრობაში შევიდენ ლუი-ბლანი და მუშა ალბერტი, მარა ეს იყო რევოლიუციონური დრო. წარსულ წელს კი „რევოლიუციას“ დერულევი აკეთებდა თავისი დამქაშებით. მილერანის მინისტრობამ ერთობ დიდი კამათი გამოიწევა მუშათა პარტიაში.<sup>1)</sup> ერთნი

\*) იხ. „კვალი“ № 11.

1) ამ სახელით ვიხსენიებთ პროლეტარიატის ინტერესების დამცველ პარტიის ყველა ფრაქციებს (ნაწილებს.) ესენი არიან 1) გელისტები (წმინდა მარქსისტული პარტია), 2)

იმ აზრისანი არიან, რომ მილერანის სამინისტროში შესვლა საჭირო იყო რესპუბლიკის დასახსნელათ რეაქციონერთა ხაფანგისაგან; მეორენი ამას დასძენენ, რომ მუშათა წარმომადგენლის ყოფნა სამინისტროში საჭიროა აგრეთვე დემოკრატიული რეფორმების შემოსაღებათო მესამენი გადაჭრით აცხადებენ: არა რომელ შემთხვევაში, არავითარი მიზნისათვის არ შეიძლება მუშათა წარმომადგენელი შევიდეს ბურჟუაზიულ სამინისტროში; რაც შეეხება რესპუბლიკის განსაცდელს, თუ იგი არსებობდა, ამის ასაცილებლათ საკმაო იყო მუშათა დებუტატებს პარლამენტში თავისი წილი გამოეცხადებინა სამინისტროსთვისო. (ამ აზრისა იყო საზღვარ-გარეთ სხვათა-შორის კაუციკი—გერმანელ მუშათა პარტიის სწავლული) აქ შევეხებით მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ მუშათა კლასისათვის საჭიროა საკუთარი მინისტრი დემოკრატიული რეფორმების გასატარებლათო. ჯერ ვიკითხოთ რა გააკეთა თვით მილერანმა.

აგერ მერვე თვეა, რაც მილერანი მინისტრათ არის და ამ დროს განმავლობაში შრომის შესახებ კანონმდებლობაში არაფერი ანუ თითქმის არაფერი არ გაკეთებულა; მილერანი მხოლოდ დეკრეტებს (ბრძანებებს) წერს, რომ ძველი კანონები, რომელნიც კი შრომას რაიმე მფარველობას უწევს სასტიკათ იყოს სისრულეში მოყვანილი. მან სხვათა შორის გაათართოვა მუშათა სინდიკატების უფლებანი, „შრომის უმაღლეს საბჭოში“ (conseil superieur du travail)<sup>2)</sup> გააბევრა შრომის წარმომადგენელთა რიცხვი, ხოლო უფრო თვალ-საჩინო და ჟორესის აზრითაც მეტათ დიდ მნიშვნელოვანი პროექტი მილერანმა წარუდგინა პარლამენტს წარსულ თვეში.

საქმე იმაშია, რომ დღემდის საფრანგეთის შრომის შესახებ კანონმდებლობაში არსებობდა ორი უმთავრესი კანონი: ერთი გამოცემულია 1848 წ. და სამუშაო დღის „მაქსიმუმათ“ სრულ წლოვან მუშებისათვის აკანონებს 12 საათს; მეორე 1892 წ. შეეხება იმ საწარმოვო დაწესებულებას, სადაც მუ-

შაობენ ყველა წლოვანებისა და ორივე სქესის მუშები. კანონი ბავშვისათვის (13—16 წ.) სამუშაო დღის „მაქსიმუმათ“ საზღვრავს 10 საათს; ორივე სქესის ახალგაზღვობისათვის (16—18 წ.) 11 საათს დღეში, 60 საათს კვირაში; ქალებისათვის 11 საათს დღეში. ამ კანონის მიხედვით, ფაბრიკანტი ჰყოფს მუშებს სხვა-და-სხვა წყებათ (კატეგორიებათ), რომელნიც სხვა-და-სხვა დროს იწყებენ და ათავებენ მუშაობას. ხოლო მშობლები უმეტეს შემთხვევაში თურმე რჩეობენ ბავშვები თავისთან ერთათ ატარონ ხოლმე ფაბრიკაში (და არა მარტო), ასე რომ ბავშვებს ან ქუჩაში უხდებათ ლოდინი ან და ფაბრიკანტი იღებს მოწყალებას და მეთერთმეტე საათსაც ამუშავებს. ამ ბოროტების ასაცილებლათ მილერანის პროექტი კანონით უმატებს ბავშვებს მეთერთმეტე საათს და აწესებს ყველა წლოვანებისა და ორივე სქესის მუშებისათვის საერთო სამუშაო დღეს 11 საათს. ასეთი მსხვერპლის გამოსაყიდათ, პროექტი აკანონებს 1902 წლიდან 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათს „მაქსიმუმს“, ხოლო 1904 წლიდან კი 10 საათს ყველა მომუშავეთათვის სქესისა და წლოვანების განურჩევლათ — იმ ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც მამაკაცებთან ერთათ მუშაობენ ქალები და ბავშვები. ასეთი მუშების რიცხვი შეადგენს მთელ საფრანგეთის მუშა-ხალხის 82%.

ხანგრძლივ ბაასს<sup>3)</sup> შემდეგ დებუტატთა პარტიამ პროექტი მიიღო (22 დეკ.) და გადასცა სენატს. საფრანგეთში 10 საათის სამუშაო დღე არსებობს ამ ჟამათ მხოლოდ რამდენსამე ფაბრიკაში, სახელდობრ იქ, სადაც ტენიკის განვითარებამ წინ უსწრო კანონმდებლობას.

ათი საათის სამუშაო დღის დაკანონებას რომ ერთობ დიდი მნიშვნელობა ექნება, ეს თავის თავთ ცხადია; მარა ცხადია ისიც, რომ ასეთი რეფორმების შემოსაღებათ სრულეობითაც საჭირო არ არის მუშათა წარმომადგენლის სამინისტროში ყოფნა. ევროპის სხვა სახელმწიფოებში (მაგ ინგლისში) უკვე არსებობს ხსენებული კანონი, თუმცა სოციალისტი მინისტრი კი იქ არ ყოფილა.

მილერანს არ განუხორციელებია მუშათა არც ერთი პრინციპიალური მოთხოვნისილება და არც განახორციელებს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ეს არ შეუძლია მას. თანამედროვე პირობებში მინისტრის თითოეული ნაბიჯი ერთი მხრით სა-

ბლანკისტები (ძველი პარტია), 3) აღმანისტები (წინანდელი პოსიბილისტები), 4) ბრუსისტები (აგრეთვე წინანდ. პოსიბილ.) და 5) ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი (ჟორესისტები). ყველა ამათ საკუთარი, ავტონომიური (ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი) ორგანიზაციები აქვთ. თავისთავთ ცხადია, რომ ყველა ამ ფრაქციებისათვის საერთოა მარქსიზმის ძირითადი პრინციპები; მუშა ხალხისაგან ცალკე, კლასიური, პოლიტიკური პარტიის ორგანიზაცია კერძო საკუთრების სოციალიზაციის (საზოგადოებრივთ გარდაქმნის) მოსახდენათ; ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის განმტკიცება.

<sup>2)</sup> კაპიტალისტებისა და მუშების წარმომადგენელთა საბჭო, შრომა — კაპიტალის უთანხმოებათა მოსარიგებლათ.

<sup>3)</sup> მემარჯვენენი დიდი წინააღმდეგნი იყვნენ პროექტისა; უკიდურესი მემარცხენენი მაშინვე თხოულობდნენ 10 საათის სამუშაო დღეს, ხოლო 1/2 ანუ ერთ წელს შემდეგ 8 საათს ყველა მუშებისათვის.

საქართველო

სტიკათ ექვემდებარება სამინისტროს მთელ კაბინეტს (კითხვა წყდება ხმის უმეტესობით), მეორე მხრით თვით სამინისტრო სრულიად დამოკიდებულია პარლამენტისაგან. უკანასკნელი კი ღებულობს იმ კანონსა და რეფორმებს, რომელიც შეადგენს ცნობიერი პროლეტარიატის დაბეჯითებულ მოთხოვნილებას.

მიღწერანის შესვლამ სამინისტროში, რასაკვირველია არაფრით არ შეცვალა სამინისტროს ხასიათი. მაგ. შრომისა და კაპიტალის კომფლიქტების დროს სამინისტრო, მიუხედავად მიღწერანისა, მოქმედებდა ისე, როგორც ყოველთვის. როცა კი საჭიროთ დანახა, დაასაქმა პოლიცია და ჯარი—რომელიც მელინის სიტყვით არავის არ ეკუთვნის—დაასაქმა, რასაკვირველია, კაპიტალის მისაშველებლათ. როცა წარსულ თვეში მუშათა დეპუტატმა ალ. ზევაესმა პარლამენტში წინადადება შეიტანა, აიკრძალოს პოლიციისა და სალდათების ჩარევა მუშათა გაფიცვაში<sup>4)</sup> პარლამენტმა უკუაგდო წინადადება, სამინისტრომ შეუსაბამოთ დანახა.

კითხვის საბოლოო გამოსარკვევად საჭირო გახდა პარტიის შეერთებული კონგრესის მოწვევა. კონგრესს თხოულობდა პარტიის აგრეთვე სხვა საჭიროებაც. იმის დაგვარათ, როგორ ძლიერდება საფრანგეთის მუშათა პარტია და იზრდება მისი პასუხის მგებლობა ქვეყნის წინაშე, საჭირო ხდება პარტიის ყველა ფრაქციების შეერთება, საერთო ტაქტიკის შემუშავება და თანხმობითი მოქმედება. ამას გრძნობდა თითოეული ცნობიერი პროლეტარი, ამის განსახორციელებლათ მუშაობდა უკანასკნელ წლებში თითოეული ფრაქცია. მიღწერანის სამინისტროში შესვლამდისვე განზრახული იყო შეერთებული კონგრესის მოწვევა ხსენებულ საჭიროებაზე მოსალაპარაკებლათ. მიღწერანის ამბავმა მხოლოდ დააჩქარა იგი.

კონგრესი მოხდა პარიჟში 3 დეკემბერს. კრებებისათვის პარიჟის საქალაქო საბჭომ დაუთმო პარტიას უშვებელი დარბაზი. კონგრესის დასაწყისი სენსაციონური იყო. 3 დეკემბრის ნაშუადღევს 2 საათზე კრებების ზალა სანახევროთ გაივსო დელეგატებით; ელოდნ ერთი ფრაქციის წარმომადგენელთ. უცებ მოისმა გარედან მუშათა სიმღერა. რამდენსამე წუთს შემდეგ გაიღო ზალის კარები და გამოჩნდა პარტიული დროშა. დროშას მოსდევდნ გედი, ლაფარგი, ზევაესი და მთელი დასი დელეგატებისა. ამათ შემოსვლაზე ზალაში გაისმა ტაშის

ქუხილი. ყველანი წამოიშალენ თავისი ადგილებიდან და მთელი საფრანგეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა ერთათ შემოკრებილებმა ჭ ერთი გრძნობებით გამსჭვალულებმა წარმოუდგენელი ალტაცებით იგალობეს მუშათა საერთაშორისო ჰიმნი. შემდეგ ჩამოვარდა სრული სიჩუმე. ირჩეულ იქმნა კრების თავმჯდომარე და თანაშემწენი. წაიკითხეს კონგრესის განსახილველი კითხვები: 1) კლასთა ბრძოლის პრინციპი შესაძლებლათ ხდის თუ არა მუშათა წარმომადგენლის ბურჟუაზულ სამინისტროში შესვლას? ჭ საზოგადოთ, რა ადგილი უნდა ჰქონდეს პარტიას ქალაქის, პროვინციის და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში? 2) როგორ და რა გზით მოხდეს პარტიის ფრაქციების შეერთება? პირველ კითხვაზე კონგრესმა უპასუხა: ჩვეულებრივ დროს, თანამედროვე კაპიტალისტურ ცხოვრების პირობებში პარტია ეცდება ყოველი ღონით მოიპოვოს კომუნაში (საბჭო), დეპარტამენტში (პროვინციალური საბჭო), სახელმწიფოში (ცენტრალური დაწესებულებანი: პარლამენტი, სენატი) მხოლოდ და მარტო საარჩევნო ადგილები (fonction èlectives) განსაკუთრებულ პოლიტიკურ გარემოებებში, პირველათ უნდა მოწვეულ იქნას პარტიის კონგრესი გადაწყვეტილებათა მისაღებათ.

საზოგადოთ, პირველ კითხვაზე მსჯელობამ მეტათ ცხარე ბასი გამოიწვია. მანვე მოითხოვა კონგრესის უმეტესი დრო. (კრებები წარმოებდა ერთ კვირას.) საზოგადოება იმ აზრისა იყო, რომ პარტიის ფრაქციები არამც თუ ვერ შეერთდებოდნ, პირიქით სამუდამოთ განშორდებოდნ. კონგრესმა წინააღმდეგი მოიტანა. საბოლოოთ შედგენილი იქნა ყველა ფრაქციების შემაერთებელი ორგანო, უმაღლესი კომიტეტი, რომელშიაც შედიან ყველა ფრაქციების წარმომადგენლნი თანახმათ საკუთარი ორგანიზაციის ძალა-ღონისა. კომიტეტი დაყოფილია სექციებათ (კომისიებათ), რომელთა შორის განაწილებულია შრომა (პროპაგატორული, ტაქტიკური, ორგანიზატორული). კომიტეტის უფლებაში შედის სხვათა შორის პარტიის ჟურნალ-გაზეთობის კონტროლი, თანახმათ შეერთებული პარტიის წლიურ კონგრესების დადგენილებათა. პარტიის პრესას სრული უფლება ექნება თავისუფლათ წეროს მუშათა მოძღვრებაზე, როგორც მოძღვრების ისე მეთოდის შესახებ, მარა სასტიკათ აეკრძალებათ ისეთი რისამე დაბეჭდვა, რაც შეურაცხყოფას აყენებს რომელსამე ფრაქციას. უკეთუ კომიტეტი დანახავს, რომ რომელიმე ჟურნალი არღვევს კონგრესის რომელსამე დადგენილებას, ანუ არ ეთანხმება პროლეტარიატის ინტერესებს, იგი მოიხმობს პასუხის მგებელ რედაქტორებს და ჩვენების ჩამორთმევას შემდეგ,

4) ეს მოთხოვნილება 1869 წელს გამბეტას ჰქონდა შეტანილი თავისი პარტიის პროგრამაში.

გარემოების მიხედვით ან შენიშვნას მისცემს, ან გააკიცხვას გამოუცხადებს ანუ სულ გამოორიცხავს პარტიიდან ან და თვით ჟურნალს დახურავს.

შეერთებული პარტიის კონგრესი მოხდება ყოველ წელს.

ამ გვარათ ჩაიყარა საფუძველი ყველა ფრაქციების სრული გაერთიანებისათვის, რომელიც ხვალ ფაქტი იქნება და საფრანგეთის მუშათა პარტია გადაიქცევა უძლეველ საზოგადოებრივ ძალათ.


კონგრესმა ერთხმით გამოთქვა ის აზრი, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი მთელი თავისი ძალდონით დაიცავს რესპუბლიკას რეაქციის წინააღმდეგ და იმავე დროს გააფართოვებს მის კალაპოტს მომავალ სოციალურ კრიზისამდის. რესპუბლიკანური წყობილება საფრანგეთის ხალხისათვის ჰაერია, ურომლისათაც მას არ შეუძლია სუნთქვა; პოლიტიკური თავისუფლების სიყვარული მას იმდენათა აქვს ძვალ რბილში გამჯდარი, რომ ვერავითარი ჯაბდა ქარი ძალა ამ სიყვარულს ვერ ამოგლეჯს მისი გულიდან, ვერავითარი გოლიათი მას ვერ გამოისტაცებს რესპუბლიკას ხელიდან.

ამავე დროს მკითხველი გაიხსენებს ჩვენ მიერ ნათქვამს ბურჟუაზულ პარტიებზე. რეაქციონური პარტიები როიალისტური, ნაციონალისტური, ანტი-სემიტური, კლერიკალური ყველა საშუალებით უკან ეწევიან რესპუბლიკას; რესპუბლიკანური პარტიის საგრძნობელი ნაწილი რეაქციას ემხრობა; გულწრფელი რესპუბლიკანელნი ცდილობენ რესპუბლიკა გაამაგრონ.

საერთო აზრი კი თანამედროვე პოლიტიკისა ასეთია: ბურჟუაზია ჩასახული და გაზდილი ფეოდალურ საზოგადოების „ნაკეცებში“, გამოვიდა საისტორიო სცენაზე სასტიკი გადაწყვეტილებით: „მესამე წოდება“ ე. ი. ბურჟუაზია, დღეს არაფერი, უნდა გახდეს რამეთო. ბურჟუაზია გახდა „რამეთ“, იგი გაბატონდა და საქვეყნოთ აღიარა: „სახელმწიფო მე ვარო“. ბურჟუაზული საზოგადოების პრინციპები შეუცვლელია და გარდაუვალი. ერთი ნაბიჯითაც წინ წასვლა არასოდეს! თუ შესაძლებელია კიდევ საითმე სვლა, ეს იქნება უკან და არა წინ. ამ გვარათ ბურჟუაზიამ უარჰყო მსოფლიო ევოლიუციონისტური (განვითარების) კანონი და ხელიდან გააგდო წინმსვლელობის დროშა. აქ გამოვიდა მუშა-ხალხი, რომელმაც შეიგნო თავისი ისტორიული ძალა და მნიშვნელობა, შეიგნო, რომ მის ძლიერ მხრებზეა დაყრდნობილი მთელი საზოგადოებრივი შენობა და უფრო სასტიკათ ამცნო ქვეყანას: „მეოთხე წოდება“ ე. ი. პროლეტარიატი, დღეს არაფერი, უნდა გახდეს რამეთო. და როცა გახდება რამეთ, იგი საზოგადოებას ქვა-

კუთხედათ დაუდებს თავის საკუთარ პრინციპებს ცხოვრებას შექმნის თავის მზგავსათ და ხატებს მის იქნება შრომის სუფევა.

ლ. დ.



### ბ ი ბ ლ ი მ რ ა შ ი ა

„ლახარილიო ტორმესელი“ თარგმანი  
პ. უმიკაშვილისა.

**ზ**ადმოთარგმნილი მოთხრობა, დრამა თუ სხვა. რამე იმდენათ არის საინტერესო და სასარგებლო ქართველ საზოგადოებისათვის, რამდენათაც იგი თვალ წინ გვიყენებს ჩვენ საკუთარ ჭირ-ვარამს, იძლევა პასუხს ამა თუ იმ მოჟამებულ და მომწიფებულ კითხვაზე...

ამ თვლით რომ შევხედოთ ზემოხსენებულ მოთხრობას, დავინახავთ, რომ ის მხოლოდ ნახევრათ აკმაყოფილებს ჩვენ მიერ დასახელებულ მოთხოვნილებას და აი რათ: „ლახარილიო ტორმესელი“ უფრო მეტათ გაკოტრებული თავდაზნაურების და კატოლიციზმის დაცინვაა. რამდენათაც რაინდის ანუ ჩვენებური მჭად აზნაურას მედიდურობა გასაგებია ქართველ მკითხველისათვის, იმდენათ კატოლიციზმის ხრიკები მისთვის უცხო და გაუგებარია.

მოთხრობის ეს ნაკლი თვითონ მთარგმნელსაც უგრძნებია და ამიტომაც პატრი ღვდლათ მოუწათლავს, მაგრამ ამით მოთხრობას ბევრი არა შემატეზიარა. პირ იქით ამის გამო სწორეთ ზოგი ერთა ალაგები უფრო დაბუნდულა და გაუგებარი გამხდარა. აი მაგალითიც: მეთვრამეტე გვერდზე წაწყდებით ასეთ საუბარს: „მოწყალეობა რომ ვთხოვე ღვდელმა მკითხა, — წირვაზე შეველა ხომ არ იციო? ვიცი-მეთქი და მართალიც ვუთხარი, ამიტომ, რომ სულ წაწყმენდილი ბრმა თუმცა ავად მეპყრობოდა, მრავალ გამოსადეგს რა გინდა რას მასწავლიდა და ესეც მასწავლა“. ვინც კათოლიკეთა ღვდელთ მსახურება ცოტათ მაინც არ იცის მოთხრობის ამ ალაგს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს.

წიგნი სუბუქი ენით არის ნათარგმნი და ადვილათაც იკითხება, თუმცა აქა-იქ შეხვედებით უხერხულათ ნახმარ ფრაზასაც. მაგალითათ: „გასაღებს თან ატარებდა თასმით შეკრულს (გვ. 18), „ღმერთმა შენ მოგცეს ასეთიო—გულში ვთქვი“ (19) „ვეფიცებოდი და ფიცით ვსქდებოდი“ (?).

ერთი რამ კიდევ უნდა შევნიშნოთ ბატ. მთარგმნელს. წინასიტყვაობაში იგი ბრძანებს: „ისპანიურ ლიტერატურის გაცნობას ჩვენი მწერლობისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რა-

დგანაც ჩვენც სამხრეთის შვილნი ვართ და ეს უფრო ადვილათ გვესმის, ვიდრე ჩრდილოეთის პოეზია, რომლის ღირსებაც, თუმცა დიდია, მაგრამ უფრო ნაკლებათ გვენათესავება.“ ამ მოსაზრებაში არ ვეთანხმებით პატივცემულ მთარგმნელს და აი რათ: როგორც პირადათ ჩვენ, აგრეთვე ჩვენმა ლიტერატურამ უნდა ისარგებლოს, ჭკუა ისწავლოს, დაწინაურებულ, განათლებულ და თანამედროვე ერების მწერლობიდან, რომელთა მეთაურობით ითვლება გერმანია მისი მეზობლებით და არა დამპალი ისპანია თავისი დახვეწებული ლიტერატურით. გარდა ამისა, ჩვენ არ გვგონია, რომ ჰაუბტმანის და ზუდერმანის პოეზია ნაკლებათ ენათესავებოდეს აწინდელ ქართველობას, ვიდრე „ლაზარელი ტორმესელი“ და სხვა ამისი მსგავსი...

გ—რი.

ზ ე ნ ი ზ ვ ე ა

ზილი ხანია, რაც ხონი მიხვდა, რომ „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა კი სიბნელე.“ აქ 1881 წ. დაარსდა სამასწავლებლო სემინარია. მას აქვე ხონში სწავლა-განათლება წინ მიდის და დღეს, გარდა სემინარიისა, ჩვენ ვხედავთ: სამოქალაქო ექვს კლასიან სასწავლებელს, სახელოსნო სკოლას, ქალების პროგიმნაზიას და მარიამის სახელობაზე ქალების სასწავლებელს—ასე რომ ხონს ქუთაისის გუბერნიაში, სხვადაბათა შედარებით, უჭირავს პირველი ალაგი სწავლა-განათლებაში. მიუხედავად ამისა, ხონში ერთი პატარა სამკითხველაც კი არ არსებობს მაშინ, როდესაც სხვაგან არა თუ სამკითხველოს, არამედ თეატრსაც კი ვხედავთ, როგორც მაგ. დ. ზესტაფონში, რომელსაც სწავლა-განათლებაში უჭირავს „სულ მცირე და უკანასკნელი ალაგი!“ („კვალი“ № 5—დ. ზესტაფონი). ვისურვებ, რომ ხონის პატივცემულმა საზოგადოებამ, რომელიც ზესტაფონის საზოგადოებას მატერიალურ მდგომარეობით უკან არაფრით ჩამორჩება, თავის წინ წაწევა შეიგნოს, დაათასოს და, თუ ოდნავ თავმოყვარობა გააჩნია, დააარსოს ის მაინც, რასაც მიყრუებულ სოფლებშიაც ხშირათ აარსებენ, სახელდობრ, სამკითხველო. იმედია ამას ხონელები მიაქცევენ ყურადღებას.

ზ. არჯვენიძე

ჩვენნი კველი გვირგვინი

თხულებსა გ. წერეთლისა.

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილერის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი  
ნახატიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: **ახლა წლადან „კვალს“ მატყუას პროგრამას ეგულა განყოფილებები, რისთვისაც შედგას მუდმივ თანამშრომელთა წრე.**

გასეთი წლიურათ ღირს ვაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო ვაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით ვაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., ვაგზავნით 4 მან. სამი თვით ვაუგზავნელათ 2 მანეთ., ვაგზავნით 2 მ. 50 კ. თითონამქერი სამ მანეთათ. ხელის მომწერლებს წლის იული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თულისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. ძ. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5, კანზუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

გამოვიდა 8 იულია სამკლოვიანრო წიგნი

„გიორგი წერეთელი“

(სურათით)

წიგნი მთავსეკუდას ეგულა ის, რაც კი ადგილობრივ ქართულ-რუსულ გაზეთებში დაბეჭდა განსვენებულის შესახებ და აგრეთვე ორი დაუბეჭდავი სიტყვა: იაკობ ცინცაძის და ესტატე შირიანისშვილის. ფასი 25 კაპ.

„კვალის“ და „ჯეჯილის“ ჩადაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

- თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)
- ადობი „ბუნება სურათებში“ ედ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)
- ხატარა ღორდი . . . . . 30 კ.
- ჩვენი ძველი გვირგვინი . . . . . 30 კ.
- თეთრი და წანგი . . . . . 15 კ.
- სოფლომან მუყე . . . . . 10 კ.
- ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა . . . . . 10 კ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.